

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლეილა არხიშაშვილი

სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-
სამართლებრივი საშუალებები

სპეციალობა: სამართალი

დისერტაცია წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მინიჭებისათვის

რ ე ზ ი უ მ ე

თბილისი

2021

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:

თეიმურაზ თოდრია,

სამართლის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვის თარიღი გამოქვეყნდება უნივერსიტეტის
ვებ-გვერდზე www.gruni.edu.ge

დისერტაციის დაცვა შედგება გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საატესტაციო-საექსპერტო
კომიტეტის სხდომაზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (თბილისი,
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კილომეტრი)

სარჩევი

შესავალი-----	5
საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა-----	5
კვლევის მიზანი -----	6
კვლევის ამოცანები-----	7
ნაშრომის ჰიპოთეზა-----	7
ნაშრომის მეცნიერული სიახლე -----	9
ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი -----	10
მეთოდოლოგია -----	10
ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა-----	11
ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა-----	11
ნაშრომის სტრუქტურა და ზოგადი შინაარსი-----	11
დასკვნები და რეკომენდაციები-----	22

შესავალი

საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა მართლმსაჯულების განხორციელების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, დიდი მნიშვნელობა აქვს შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვას. რთულია ამ სტანდარტის დაცვა იმ პირობებში, როდესაც საკანონმდებლო დონეზე არ არის საკმარისად რეგულირებული ამ პრინციპების განმახორციელებელი ყველა ელემენტი. სარჩელი და შესაგებელი წარმოადგენენ იმ ინსტიტუტებს, რომლის პროცესუალური რეალიზაცია ხდება ზუსტად ამ პრინციპების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა სარჩელის აღძვრის, მისი შინაარსის, აღიარებითი სარჩელის, სარჩელი ვალდებულებების მომავალში შესრულების შესახებ, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანებისა და გამოყოფის, სარჩელის (განცხადების) რეგისტრაციის, სარჩელის (განცხადების) და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ჩაბარების, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის და სხვა. ამ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს სარჩელისაგან პროცესუალური საშუალებების იმ სტანდარტის არსებობას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპები. მაგალითად, რას უნდა აკმაყოფილებდეს აღიარებითი, ვინდიკაციური ან გარდაქმნითი სარჩელის წინააღმდეგ მიმართული პროცესუალური თავდაცვის საშუალებები? რამდენი სახის სარჩელისაგან პროცესუალური თავდაცვის საშუალებებია და რა თავისებურებები გააჩნიათ მათ? რა შინაარსობრივი კრიტერიუმები გააჩნია სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ საშუალებებს და რით არის განპირობებული ამ კრიტერიუმების ჩამოყალიბება? რა მნიშვნელობა გააჩნია მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი მხარეების შესწავლას სარჩელისაგან პროცესუალური თავდაცვის საშუალებების გამოკვლევისას და ა.შ. მაგალითად, როდესაც მოსარჩელე ითხოვს მოძრავი ნივთის მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვას (ვინდიკაცია), რა შინაარსის შესაგებელი უნდა წარადგინოს მოპასუხემ, საქართველოს სამოქალაქო კო-

დექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითის სახით მოყვანილი შემთხვევა ეხება შესაგებლის მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს, რაც შესაბამისად, გავლენას ახდენს მის პროცესუალურ მხარეზე (რა ფაქტები და მტკიცებულებები უნდა მიეთითოს და ა.შ.). ასევე, შეგებებული სარჩელის 189-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები ეხება შეგებებული სარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს და, შესაბამისად, მის დიფერენცირებას მატერიალური სამართლით მოცემული ინსტიტუტების მიხედვით.

ამდენად, მოსარჩელის უფლებას უპირისპირდება მოპასუხის უფლება, დაიცვას თავისი პოზიცია და გააქარწყლოს მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები. მიგვაჩნია, რომ ამ ინსტიტუტების ღრმა მეცნიერული შესწავლა და შედეგად პოზიტიურ-სამართლებრივი დანაწესების დახვეწა, მაქსიმალურად უზრუნველყოფს შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვას, რის გარეშე არ არსებობს სამოქალაქო სამართალწარმოება.

აღნიშნული საკითხი არ არის სათანადოთ შესწავლილი იურიდიულ მეცნიერებაში, უფრო მეტიც, საქართველოში არ არის მონოგრაფიული ნაშრომი, რომლითაც გამოკვლეული იქნება მითითებული პრობლემა. შესაბამისად, კვლევაში დასმულ პრობლემატიკას წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ თუ რა კრიტერიუმები გააჩნია სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის პროცესუალურ საშუალებებს და როგორი რეგულირების მექანიზმი უნდა გააჩნდეთ მათ. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია შემდეგი ამოცანების გადაჭრის გზით, კერძოდ, სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებების ისტორიული მიმოხილვის; უფლების დაცვის პროცესუალური საშუალებების; სარჩელისა და შესაგებლის მნიშვნელობის; მოპასუხის სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებების კრიტერიუმების შესწავლა-გამოკვლევით.

კვლევის მიზანია სამართალწარმოებაში მოპასუხის როლის წარმოჩენა, რომლის უფლებების გათვალისწინების გარეშე, შეუძლებელია შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის განხორციელება;

მოპასუხის პროცესუალური თავდაცვის საშუალებების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა და სარჩელისაგან თავდაცვის სამართლებრივი ინსტიტუტების სრულყოფა;

მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას და საერთაშორისო ნორმებთან მის ჰარმონიზაციას.

კვლევის ამოცანებია შესწავლილ და გაანალიზებულ იქნას უფლების დაცვის პროცესუალური საშუალებები; უფლების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა; უფლება და მოთხოვნა; შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა სასარჩელო წარმოების დროს. შეჯიბრებითობის პრინციპის ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში; პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს; სარჩელი და შესაგებელი, როგორც მტკიცების საგნის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტები; სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი დახასიათება; მოპასუხის შესაგებლის ცნება და მნიშვნელობა; სარჩელის უარყოფა და შესაგებელი, საერთო და განსხვავებული ნიშნები; პროცესუალური შესაგებელი და მისი მნიშვნელობა; მატერიალური შესაგებელი და მისი მნიშვნელობა; შესაგებლის წარდგენა, როგორც მოპასუხის ფაქულტატიური ვალდებულება და მისი წარუდგენლობის შედეგები; შეგებებული სარჩელი, როგორც მოპასუხის თავდაცვის პროცესუალური საშუალება.

ნაშრომის ჰიპოთეზა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მეტყურადღებას უთმობს სარჩელით უფლებათა დაცვის პროცესუალურ-სამართლებრივ მექანიზმებს, ვიდრე სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის საშუალებების პროცესუალურ რეგულაციას. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება არა მარტო მოპასუხეთა კანონიერ ინტერესებზე და უფლებათა პროცესუალურ რეალიზაციათა შესაძლებლობებზე, არამედ - შეჯიბრებითობისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე და, საბოლოოდ, სასამართლოს მიერ მტკიცებითი პროცესის ეფექტურ განხორციელებაზე.

მოპასუხის სამართლებრივი მდგომარეობა მოსარჩელესთან შედარებით უფრო შეზღუდულია, რაც გამოიხატება ჯერ კიდევ სარჩელის აღძვრის ეტაპზე ე.წ. „დაკონვერტებით, ასევე, სასამართლოს შენობაში განთავსებულ დაფაზე „საჯარო შეტყობინებით“; საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დაგვიანებით შეგებებული სარჩელის აღძვრის დროს, კანონი მოპასუხეს აკისრებს საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას; მოპასუხის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო, დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის ინტიტუტის არსებობა, უარყოფითად მოქმედებს არა მარტო მოპასუხის უფლებებზე, არამედ ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

მცენიერული კვლევის შედეგად სარჩელისგან თავდაცვის პროცესულურ-სამართლებრივი საშუალებების განსაზღვრა უზრუნველყოფს უპირველეს ყოვლისა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვას, რაც მიიღწევა შემდეგი სამართლებრივი ინსტიტუტების პროცესულურ სამართალში განსაზღვრით:

სარჩელის უარყოფა და შესაგებლის, როგორც სარჩელისგან თავდაცვის განსხვავებული საშუალებების სახით მოწესრიგება;

პროცესუალური შესაგებლის ინსტიტუტის, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის დამოუკიდებელი სამართლებრივი საშუალების სახით პროცესში განსაზღვრა, რომლის მიზანს წარმოადგენს სარჩელის წარმოებაში მიღებისა და განხილვის პროცესუალური წინაპირობების გამორიცხვა/უარყოფა;

მატერიალური შესაგებელი ინსტიტუტის, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის დამოუკიდებელი სამართლებრივი საშუალების სახით პროცესში განსაზღვრა, რომლის მიზანს წარმოადგენს სარჩელში მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების გაქარწყლება/უარყოფას. ამისათვის აუცილებელია საპროცესო კანონში ისეთი ინსტიტუტების განსაზღვრა, როგორცაა ზოგადი და კონკრეტული სახის შედავება, კვალიფიციური და კონკლუდენტური სახის შედავება.

უნდა განისაზღვროს შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს სარჩელის დასაბუთებულობის შემოწმებას და არა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას.

შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, საქმის გადადების იმპერატიული დანაწესით გამოირიცხება მოპასუხის დაჯარიმება. შეგებებული სარჩელის სახეების დაზუსტებით კი თავიდან იქნება აცილებული ბუნდოვანება, რაც გამოიხატება შეგებებული სარჩელის ცნების განსაზღვრაში.

აშკარად უსაფუძვლო სარჩელისგან მოპასუხის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით გამოირიცხება მოსარჩელის მხრიდან მოპასუხის მიმართ უკანონო მოქმედების შედეგი, რითაც მიღწეულ იქნება შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპზე, თუმცა, მთელი რიგი მუხლები (103-ე მ, 203-ე მ, 104-ე მ, 120-ე მ, 162-ე მ, 354-ე) მოსამართლეს აძლევს საშუალებას ინიციატივა გამოიჩინოს მტკიცების პროცესში. როგორც სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, ეს ინიციატივა უფრო მეტად გამოიხატება სარჩელთან მიმართებაში, ნებისმიერი ინიციატივა სასამართლოს მხრიდან, ეჭვქვეშ აყენებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე საქართველოს პროცესუალურ სამართალში, მონოგრაფიულ დონეზე პირველად არის დამუშავებული სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალებები. გამოკვლეულია მოპასუხის თავდაცვის როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი ინსტიტუტები და შემუშავებულია საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი. რიგი კონკრეტული წინადადებები წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-პრაქტიკული კონტექსტი

კვლევაში გამოყენებულია ქართული და უცხო ქვეყნის ლიტერატურა. კვლევის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დიდი მოცულობის სასამართლო პრაქტიკა. ძირითადი წყაროებია: ბოლინგი ჰ. ჭანტურია ლ. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა; გაგუა ი. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება ინგლისის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, ზ. ახვლედიანი 80, საიუბილეო გამოცემა; თოდრია თ. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში; თოდუა მ. ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი; კისი პ. სამოქალაქო გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, სტრუქტურა და დასაბუთება; ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი; ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი I ნაწილი; ლილუაშვილი თ. ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი; ნაჭყებია ა. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013; ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი; შმიტი შ. რიჰტერი ჰ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში; ჭანტურია ლ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი მესამე ვალდებულებითი სამართალი ზოგადი ნაწილი;

მეთოდოლოგია ნაშრომის მეცნიერული კვლევისას, მივმართეთ ისეთ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება, როგორც ემპირიულ, ასევე, თეორიულ დონეზე, კერძოდ, აბსტრაგირება, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია. კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულ იქნა ისტორიული, ლოგიკური, შედარებით-სამართლებრივი, თვისებრივი კვლევის და სხვა მეთოდები. ემპირიული კვლევისას გამოყენებულ იქნა შედარების მეთოდი, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა სასამართლო პრაქტიკაში არსებული მაგალითების შედარებაში. ნაშრომში, ძირითადად, გამოყენებულია ლოგიკური ანალიზი.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალებების თეორიული კუთხით კვლევას დღემდე ყურადღება არ ექცეოდა. ჩვენი ნაშრომი არის მცდელობა შეავსოს ხარვეზი და თეორიული სიცხადე შესძინოს აღნიშნულ პრობლემატიკას. დიდი მნიშვნეობა აქვს სარჩელისაგან პროცესუალური საშუალებების იმ სტანდარტების არსებობას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპები. თეორულ დონეზე პრობლემის გადაჭრის გზების ძიება პრაქტიკაში განხორციელების საუკეთესო საშუალებაა, რაც ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა კვლევის შედეგები მიმართულია სამოქალაქო პროცესის მხარეების უფლებათა და კანონიერი ინტერესების დაცვისა და სამართლიანი, ეფექტური და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. განსაზღვრულია სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური ნორმების მოდელი, რაც საბოლოოდ, მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფს შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვას სამოქალაქო პროცესში.

ნაშრომის სტრუქტურა და ზოგადი შინაარსი ნაშრომში გადმოცემულია საკვლევი პრობლემატიკა და კვლევის აქტუალობა; კვლევის მიზანი; კვლევის ამოცანები; ნაშრომის ჰიპოთეზა; ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან:

პირველი თავი სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა და კვლევის თეორიული კონტექსტი; სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებების ისტორიული კონტექსტი; უფლების დაცვის პროცესუალური საშუალებების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები; მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა და შედეგები.

მეორე თავი სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებების ისტორიული მიმოხილვა; სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი საშუალებების რომის სამართლის მიხედვით; სარჩელისაგან თავდაცვის პროცე-

სუალურ-სამართლებრივი საშუალებები ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით. ისტორიული წყაროების მიხედვით განხილულია სარჩელისაგან თავდაცვის პროცესულურ-სამართლებრივი საშუალებების ისტორიული მიმოხილვა, რომის სამართლის და ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით.

განხილულია რომის სამართლის წყაროები: ადათი და ადათობრივი სამართალი; კანონები მაგისტრატის (პრეტორი, ცენზორი, კონსული, ქვესტორი, ედილი) ედიქტები; იურისტების მოღვაწეობა. საუბარია ძველი რომის სამართლის ისტორიაში არსებულ ლეგისაქციურ, ფორმულარულ და ექსტრაორდინალურ ფორმებზე.

გიორგი V-ის სამართლის წიგნი, ბექა-აღბუღას კანონები და ვახტანგის სამართლის წიგნი, უხვად სარგებლობდნენ ჩვეულებითი სამართლით. სამართლის ერთ-ერთი წყარო სასამართლო პრაქტიკაა. ვახტანგ VI თავის სამართლის წიგნში მოსამართლეს ძლიერ ფართო მოქმედების საშუალებას აძლევს, სამართლის დარგში. სამართლის წყარო არის, აგრეთვე, ხელშეკრულება. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები მრავალი სახისაა. სამართლის წყაროებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ძეგლები - გიორგი V-ის “ძეგლის დადება”, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი, კათალიკოსთა სამართალი და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ერეკლე II-ისა და კათალიკოს ანტონის კანონი და ვახტანგ ბატონიშვილის კანონები. ქართული სამართლის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საბუთია ბაგრატ IV-ის სიგელი, გაცემული მიწნადორისა და ოპიზის მონასტრებისადმი. ეს ძეგლი ცხადყოფს საქართველოში პროცესულური სამართლის განვითარების მაღალ დონეს.

მესამე თავი ეხება უფლების დაცვის პროცესულურ საშუალებებს.

უფლების დაცვის სასარჩელო საშუალებების განკარგვა

პირს თუ შეუძლია განკარგოს თავისი მატერიალურ - სამართლებრივი უფლება ისე, როგორც ეს მას მიაჩნია მიზანშეწონილად, მაშინ მას შეუძლია ითმინოს, ან არ ითმინოს ამ უფლების დარღვევა სხვა პირის მიერ. დარღვეული უფლების სუბიექტები თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს, ანუ მოთხოვნის შინაარსს; ნების ავტონომიის შინაარსი (გარიგების თავისუფლება) მატერიალურ

სამართალში, მოიცავს პირის სრულ შესაძლებლობას დადოს ნებისმიერი გარიგება; ნების ავტონომიიდან გამომდინარეობს მხარეთა სრული თავისუფლება მოსარჩელემ უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე, ხოლო მოპასუხემ ცნოს სარჩელი; დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, მხარეთა საპროცესო უფლება გაასაჩივრონ სასამართლო გადაწყვეტილებები, ან შეურიგდნენ ამ გადაწყვეტილებას და ა.შ.

უფლება და მოთხოვნა საზოგადოების თითოეულ წევრს, კანონით მინიჭებული უფლებების გარდა, აქვს ძირითადი უფლებები. ხელისუფლებას იმდენი უფლება აქვს, რამდენსაც მას კანონი ანიჭებს, ხოლო ადამიანს აქვს ყველა ის უფლება, რომელსაც არ უკრძალავს კანონი. ადამიანის უფლებებში ორ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ: მატერიალურ და საპროცესო უფლებებს.

შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა სასარჩელო წარმოების დროს. შეჯიბრებითობის პრინციპის ზოგიერთი თავისებურებანი სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში თანასწორობა სამართლის ფუძემდებლური პრინციპია. სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მე-4 მუხლის მე-2 ნაწილში ლაპარაკია სასამართლოს ინიციატივაზე მტკიცების პროცესში, მაგრამ სასამართლოს შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც ამას სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. ჩვენი პოზიცია გამოხატულია 102-მუხლის პირველ ნაწილში, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ ასევე, 103-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილში „მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები“. აღნიშნული მუხლები გამორიცხავენ სასამართლოს უფლებას თავისი შეხედულებით მოიპოვოს მტკიცებულებები. ინკვიზიციურობის პრინციპის მატარებელია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. სრულ საწინააღმდეგოს წარმოადგენს დანიის საპროცესო კანონმდებლობა. კონტინენტური ევროპისა და პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში ინკვიზიციურობის პრინციპი გამოიხატება იმაში, რომ სასამართლო ექსპერტს ნიშნავს, თუ მოწმეს იწვევს როგორც მხარეთა შუამდგომლობით, ასევე, თავისი ინიციატივით. აშშ-ში

ერთადერთი, რითაც იზღუდება სასამართლო, არის მოწმის პრივილეგიები. საერთო სამართალი სასამართლო პროცესს უყურებს, როგორც თავისებურ ტურნირს, სადაც მოსამართლე არბიტრის როლს ასრულებს.

პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები, რომლებიც ეხება სარჩელისაგან მოპასუხის პროცესუალურ თავდაცვის საშუალებებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის პროცესუალურ საშუალებათა ინსტიტუტი სიღრმისეულად შესწავლილი არ არის. ჯერ კიდევ განსჯადობის საკითხის გარკვევის ეტაპზეა დაცული მოპასუხის უფლება წარადგინოს შესაგებელი. კანონი განსაზღვრავს მოპასუხის არა მარტო უფლებებს, არამედ, ვალდებულებებსაც, მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაგებლის წარუდგენლობის გამო. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ არცთუ იშვიათია ამ მუხლის გამოყენება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2013 წლიდან 2014 წლის 11 ივლისის მდგომარეობით, მიღებული იქნა 6747 დაუსწრებელი გადაწყვეტილება. 236-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს შეუძლია საჩივარი შეიტანოს იმავე ინსტანციის სასამართლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით. უმეტეს შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლო არ აუქმებს თავის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. სასამართლოების გადატვირთულობის გამო, აღნიშნული საქმეების განხილვა დიდხანს გრძელდება, რაც ხელს უშლის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნული პრობლემა თავიდან რომ იქნეს აცილებული, აუცილებლად მიგვაჩნია, 232¹ მუხლი (დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო) გაუქმდეს. ე.წ. „ურჩი მოპასუხე“ ისედაც შეიძლება დაისაჯოს. თუ მოპასუხე არასაპატიო მიზეზით, არ წარადგენს შესაგებელს, მოპასუხეს აღარ ექნება უფლება წარადგინოს შესაგებელი და დაიცვას თავი. ამ შემთხვევაში დაინიშნოს სხდომა, სადაც მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ მოხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს. ამ დროს გამოვა ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრდება სააპელაციო წესით. მოპასუხე თუ საპატიო მიზეზით ვერ წარადგენს პასუხს

(შესაგებელს), მაშინ მიეცეს მას ვადა შესაგებლის წარსადგენად. ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ვერ წარადგენს პასუხს (შესაგებელს), დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა, სადაც გაირკვევა შესაგებლის წარუდგენლობის მიზეზი.

მეტად მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ისეთ საკითხზე, როგორცაა საჯარო შეტყობინება. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამის სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს. ვფიქრობთ, რომ საჯარო შეტყობინება არ უნდა განთავსდეს სასამართლოს შენობაში, რადგან ასეთი შეტყობინება შედეგის მომტანი არ იქნება. შესაგებლის წარუდგენლობის გამო, არის შემთხვევები, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ნიშნავს საქმის განხილვას და ამჯერად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს კი მხარეებს არათანაბარ პირობებში აყენებს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, რომ სასამართლო, რომელიც ვალდებულია განუმარტოს მოპასუხეს შესაგებლის წარუდგენლობის შედეგები, არ უმარტავს და ისე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო. აღნიშნული ხდება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარჩელი და შესაგებელი, როგორც მტკიცების საგნის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტები სარჩელის ცნება არ არის განსაზღვრული კანონით. ეს არის ყოველი დაინტერესებული პირის უფლების დაცვის პროცესუალური საშუალება, რომლითაც შესაძლებლობა ეძლევა მას მიმართოს სასამართლოს თავისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მოსარჩელეს კანონი უწესებს გარკვეულ მოთხოვნებს. ეს ჩამოყალიბებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში. მოსარჩელის სტადიაზე მოსამართლეს ევალება გაარკვიოს სარჩელის დასაბუთებულობა, გამართულია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა და მისი ახსნა-განმარტებები. რისი დამტკიცება-დადასტურების მიზნითაც ხორციელდება მტკიცებითი საქმიანობა არის მტკიცების საგანი. სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნას სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ფაქტები, როგო-

რიცა: 1. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი; 2. ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი; 3. მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება გადაწყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება-დადასტურება. უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მტკიცებულებების განკუთვნიადობა და უტყუარობა (სარწმუნობა). პირველ ინსტანციაში თუ მტკიცების საგანში შედის უმეტესად მხარეთა მიერ მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები, სააკვეციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მასშტაბები იზრდება და მტკიცების საგანში, ასევე, შეიძლება შედიოდეს პროცესუალურ-სამართლებრივი ფაქტები.

მეოთხე თავი სარჩელისაგან თავდაცვის საშუალებების პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი დახასიათება

მოპასუხის შესაგებლის ცნება და მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოპასუხის მიერ სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურ საშუალებებს. ამ მხრივ ინტერესს იწვევს თავდაცვის, როგორც პროცესუალური, ასევე, მატერიალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაგებელი ეს არის სარჩელში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებთან დაკავშირებით, მოპასუხის მოსაზრებები. მას შემდეგ, რაც მოსარჩელის სტადიაზე დადგინდება, რომ მისი ახსნა-განმარტებები სრული და გამართულია, ანუ მოპასუხის სათანადო შეპასუხების გარეშე, სარჩელი ექვემდებარება დაკმაყოფილებას, უკვე მოპასუხის სტადიაზე მოწმდება მეორე მხარის, ანუ მოპასუხის შესაგებელი, თუ რამდენად აბათილებს და არყევს იგი მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს. მოპასუხის შესაგებელი შეიძლება ორი სახით იყოს არსებითი: ერთი – შედავების კუთხით (ე.წ. მარტივი შედავება) და მეორე – საწინააღმდეგო გარემოებებისა და მოსარჩელის მოთხოვნის წარმოშობის შემაფერხებელ სამართლებრივ ნორმებზე მითითების კუთხით (ე.წ. კვალიფიციური შედავება). დაუშვებელია შედავება, როდესაც იგი აბსტრაქტული ან ზოგადია (დაუ-

ზუსტებელი), შეგვიძლია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ მოპასუხის შესაგებლის ოთხი სახე: 1. ზოგადი სახის შედავება, რომელიც დაუშვებელია; 2. კონკრეტული სახის შედავება, რომელიც მიმართულია მოსარჩელის მიერ მითითებულ ცალკეულ გარემოებაზე და უარყოფს მათ; 3. კვალიფიციური შედავება: მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას; 4. კონკლუდენტური შედავება: მოპასუხე სულ სხვაგვარად ასახავს მოვლენათა განვითარებას, ვიდრე მოსარჩელე. მოთხოვნის შემწყვეტი ან განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლების (გამომრიცხავი ნორმების) შემოწმება მიმდინარეობს შემდეგ ეტაპებად: 1) მოპასუხის მიერ ასეთი შესაგებლის განხორციელების შემთხვევაში უპირველესად მოძიებულ უნდა იქნეს მატერიალურ-სამართლებრივი არსებითი ნორმა, რომელიც შესაძლოა უპირისპირდებოდეს მოსარჩელის (სამართლებრივ) მოთხოვნის უფლებას; 2) შემდეგ ეტაპზე მიმდინარეობს მოპასუხის ახსნა-განმარტებების შემოწმება ზუსტად ისე, როგორც მოსარჩელის განმარტებების შემოწმება ხდება მოსარჩელის სტადიაზე 3) მესამე ეტაპზე უნდა შემოწმდეს უკვე მოსარჩელის პასუხი.

სარჩელის უარყოფა და შესაგებელი, საერთო და განსხვავებული ნიშნები შესაგებელი შეიძლება მხოლოდ სარჩელის საფუძველში მითითებული ფაქტების უბრალო უარყოფით ამოიწურებოდეს. ასეთ შესაგებელს არავითარი მტკიცებულებითი ძალა არ გააჩნია. ზოგადი ხასიათის მტკიცება, ან ზოგადი ხასიათის უარყოფა დასაშვებია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. მეტად საინტერესოა სასამართლო პრაქტიკა გადახდის ბრძანებასთან დაკავშირებით. აქ მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი) შემოიფარგლება მხოლოდ მოთხოვნის უარყოფით, რაც საკმარისია შემდგომი საპროცესო მოქმედებისათვის (ბრძანების გაუქმებისათვის). ეს არის საგამონაკლისო ნორმა.

სარჩელის უარყოფა თავისთავად და დამოუკიდებლად არაფერს ადასტურებს, მაგრამ ასეთ უარყოფას აქვს სრულიად გარკვეული საპროცესო მნიშვნელობა. ასეთი უარყოფის გამო, ფაქტები, რომლებიც საფუძველად უდევს სარჩელს, იძენს სადავო ფაქტების

თვისებას, რომლებსაც არ ცნობს მოპასუხე და ამიტომ ისინი შედიან მტკიცების საგანში და მოსარჩელეს ევალება დაამტკიცოს მათი არსებობა, თუ არარსებობა.

პროცესუალური შესაგებელი და მისი მნიშვნელობა საპროცესო ხასიათის შესაგებელი ყოველთვის მიმართულია პროცესის წინააღმდეგ და ყოველთვის სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებს ეფუძნება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლში მითითებულია ყველა ის პროცესუალური საფუძვლები, რაზეც შეიძლება მოპასუხემ მიუთითოს თავის შესაგებელში.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მოპასუხის დაცვის სამართლებრივ საშუალებებს, რომელიც წარმოდგენილია სარჩელის წინააღმდეგ. დროზე წარდგენილი შესაგებელი სასამართლომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, ხოლო დაგვიანებით წარდგენილი შესაგებელი სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს გადაწყვეტილების გამოტანისას.

საფრანგეთის საპროცესო სამართალი ითვალისწინებს მოპასუხის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, როგორც შესაგებლის, ისე შეგებებული სარჩელის სახით. მოპასუხეს შესაგებლის წარდგენა შეუძლია პროცესის ნებისმიერ ეტაპზე. შესაგებელი ფორმალურ საფუძველზე, საქმის განხილვის დაუშვებლობის თაობაზე, სასამართლომ შეიძლება აღძრას თავისი ინიციატივით.

ინგლისურ სამართალს საინტერესო პოზიცია უკავია დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ. იგი გამოიცემა, როდესაც მოპასუხეს დადგენილ ვადაში არ განუცხადებია არც შესაგებელი, არც შეგებებული სარჩელი. მოსარჩელეს უფლება აქვს მიმართოს მოსამართლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შუამდგომლობით. იგივე უფლება გააჩნია მოპასუხესაც, როდესაც მოსარჩელე უპასუხოდ ტოვებს მის შესაგებელს, თუ შეგებებულ სარჩელს.

ამერიკული სამართლისთვის ცნობილია სამართლებრივი ხასიათის მქონე შესაგებელი. ამერიკული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ითვალისწინებს მოპასუხის დაცვის კიდევ ერთ მექანიზმს, ე.წ. ჯვარედინ სარჩელს.

მატერიალური შესაგებელი და მისი მნიშვნელობა მატერიალური შესაგებელი სარჩელის საფუძვლის წინააღმდეგაა მიმართული და სამოქალაქო სამართლის ნორმებს ეყრდნობა. მატერიალური შესაგებლით ხდება როგორც ფაქტობრივი გარემოებების, ასევე, სამართლებრივი დასაბუთებულობის უარყოფა. მატერიალური შესაგებლის მართებულად დასაბუთება გამოიწვევს სარჩელზე უარის თქმას.

ამრიგად, მატერიალური შესაგებლის ინსტიტუტი წარმოადგენს სარჩელისაგან თავდაცვის სამართლებრივი საშუალების ერთ-ერთ სახეს პროცესში, რომლის მიზანს წარმოადგენს სარჩელში მითითებული მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტების გაქარწყლება-უარყოფა. ამისათვის აუცილებელი გახდა ისეთი ინსტიტუტების კვლევა, როგორცაა ზოგადი და კონკრეტული სახის შედავება, კვალიფიციური და კონკლუდენტური სახის შედავება და შედეგად საკანონმდებლო რეკომენდაციების შემუშავება.

შესაგებლის წარდგენა, როგორც მოპასუხის ფაკულტატური ვალდებულება და მისი წარუდგენლობის შედეგები მოვალეობებს, რომელთა შესრულება იძულებით არ ხდება, მაგრამ მათი უგულებელყოფა ხშირად ამ მოვალეობის სუბიექტს არახელსაყრელ პირობებში აყენებს, უწოდებენ ფაკულტატურ მოვალეობებს. ამ ცნებას ვხვდებით როგორც საპროცესო, ისე მატერიალურ სამართალში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ვფიქრობთ, უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა გაუქმდეს კანცელარიის მუშაკის მიერ სარჩელის ე.წ. „დაკონვერტების“ ინსტიტუტი. სარჩელი და მასალები მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს კანონით დადგენილი წესით, რათა თვით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ განჩინებით განისაზღვროს შესაგებლის შედგენისათვის საჭირო ვადა.

განსხვავდება თუ არა პირველი ინსტანციის შესაგებელი სააპელაციო შესაგებლისაგან და შეიძლება თუ არა სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა? თ. თოდრიას აზრით, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას საქმის მომზადების ეტაპზე, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგან აპელაციის სტადიაზე არ განისაზღვრება მტკიცების საგანი, ეს უკვე განსაზღვრულია პირველ ინსტანციაში და ამჯერად განხილვის საგანს წარმოადგენს იგივე სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ფაქტები და მტკიცებულებები. სააპელაციო შესაგებელი, როგორც მტკიცებითი საქმიანობის განსახორციელებელი პროცესუალური საშუალება, არ შეიძლება გავაიგივოთ სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. სრულად ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და უფრო მეტიც, არ მიგვაჩნია სწორად შესაგებლის წარმოდგენლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ვფიქრობთ, რომ ეს მუხლი ამოღებული უნდა იქნეს (აღნიშნულზე ზემოთ გვკონდა საუბარი). არის შემთხვევები, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს არ გამოაქვს ამ საფუძვლით დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ნიშნავს საქმის განხილვას და ამჯერად, მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო, გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ეს კი მხარეებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

საინტერესოა, უნდა იქნეს თუ არა მიჩნეული შესაგებლის წარუდგენლობა ფაკულტატურ ვალდებულებად, თუ მისი წარუდგენლობა მოპასუხისათვის მძიმე შედეგის მომტანია? ხომ არ არის ეს იმპერატიული მოთხოვნა.

შეგებებული სარჩელი, როგორც მოპასუხის თავდაცვის პროცესუალური საშუალება მოპასუხეს შეუძლია თავის დაცვა როგორც შესაგებლით, ასევე, შეგებებული სარჩელით. შეგებებული სარჩელი ჩვეულებრივი სარჩელია. შეგებებული მას იმიტომ ეწოდება, რომ იგი შეტანილი იქნება სხვა ძირითადი სარჩელის გამო. შეგებებული სარჩელის წარდგენა შეზღუდულია დროში, ისევე, როგორც შესაგებლის წარდგენა. შეგებებული სარჩელის შეტანა შეუძლია მოპასუხეს, საქმის ზეპირი განხილვისათვის მომზადების ეტაპზე. საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში კი, პაექრობის დამთავრებამდე. თუ მოხდა შემთხვევა, რომ მოპასუხემ ვერ დაამტკიცა

შეგებებული სარჩელის წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, ვფიქრობთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეგებებული სარჩელის აღძვრას აპირებდა იმ საფუძვლით, რომ შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება, ასეთ შემთხვევაში, მოპასუხეს შეუძლია აღძვრას ჩვეულებრივი სარჩელი და შემდგომ, მოითხოვოს მის მიერ აღძრული სარჩელი გაუერთიანდეს მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს, რაც შეასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც შეასრულებდა სარჩელის და მოპასუხის მიერ თავის დროზე აღძრული შეგებებული სარჩელის ერთად განხილვა.

ვფიქრობთ, რომ 189-ემუხლის „გ“ პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს, რადგან ის არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შეგებებული სარჩელი და პრაქტიკაშიც იმ დანიშნულებას ვერ ასრულებს, რისთვისაც იქნა გათვალისწინებული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ შეგებებული სარჩელი მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით, ან სასამართლოს ინიციატივით, შეიძლება საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის. აქ კანონი იმპერატიულად უნდა განსაზღვრავდეს საქმის გადადებას და არ უნდა იყოს საჭირო მხარის მოთხოვნა. ამავე მუხლის მეორე ნაწილი მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი, აკისრებს საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მიგვაჩნია არასწორად, რადგან მოპასუხეს სასამართლომ თუ მისცა საშუალება წარადგინოს შეგებებული სარჩელი, მაშინ არ უნდა „დასაჯოს“ იგი.

სასამართლო ერთად იხილავს პირვანდელ და შეგებებულ სარჩელს, რის შედეგადაც გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ეს მუხლი კი ითვალისწინებს ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

სააკველაციო და საკასაციო სასამართლოებში დაუშვებელია შეგებებული სარჩელის აღძვრა. სააკველაციო სასამართლოში მხარეს

შეუძლია წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა უარი ნათქვამი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის, ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება. შეგებებულ სააპელაციო საჩივარს ყოფენ ორ სახედ: დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი და დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი.

დასკვნები და რეკომენდაციები

სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალებები მოითხოვენ ღრმა მეცნიერულ შესწავლას, რომლის გარეშე არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. სასამართლო უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ სტანდარტებს, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ყველასათვის მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნას, სასამართლოს მეშვეობით, თავისი უფლებების დაცვა. ამ მხრივ, საკმაოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უფლებათა რეალიზაციის პროცესუალურ ასპექტებს. ზუსტად, რომ პროცესუალური მექანიზმების გამოყენების მეშვეობით ეძლევა მოქალაქეებს, თუ სხვა პირებს, საკუთარი შეხედულებების გამოთქმისა და საკუთარი პოზიციების დაფიქსირების შესაძლებლობა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ არ ექცევა ყურადღება სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალებების სახეების შინაარსობრივ მხარეებს.

ყურადღება გავამახვილეთ ჩვენს თემასთან დაკავშირებით გამოტანილ გადაწყვეტილებებში დაშვებულ შეცდომებზე. სარჩელზე როგორც მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის პროცესუალურ საშუალებაზე, მოქმედებს ნების ავტონომიის საკმაოდ მაღალი სტანდარტი. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ

უფლების დაცვის სასარჩელო საშუალება წარმოადგენს სამართლებრივი კრიტერიუმების ერთობას, რომელიც ეფუძნება ნების ავტონომიის პრინციპს, გააჩნია პროცესუალური ფარგლები, უფლების განკარგვის პროცესუალური ფორმები და მიზნად ისახავს იძულების სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილებას.

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ უფლება მოთხოვნის ინსტიტუტის გარეშე. სამართლის ნორმით განსაზღვრული ობიექტური უფლება მიუთითებს სუბიექტურ უფლებაზე, რაც მოიცავს მოთხოვნას. ეს უკანაკნელი არსებობს როგორც უფლების მარეალიზირებადი საშუალება. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მოთხოვნათა დიფერენციაცია, რაც აისახება ამ უფლების დაკმაყოფილებაში (ვალდებულების შესრულების პრინციპი) ან/და ამ უფლების იძულების მექანიზმის გამოყენებით დაცვაში. ზუსტად, ამ შემთხვევაში ვლინდება უფლებების დაცვის პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები და, შესაბამისად, მოპასუხის უფლების დაცვის სტანდარტი, რაც მოითხოვს თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე, 203-ე, 104-ე, 120-ე, 162-ე, 354-ე მუხლების შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია ინიციატივა გამოიჩინოს მტკიცების პროცესში. ჩვენი პოზიციაა, რომ სასამართლო აქტიურად არ ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვებაში, იგი უნდა დაეხმაროს მხარეებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი გარკვეული მიზეზების გამო, თვითონ ვერ შეძლებენ მტკიცებულებების მოპოვებას, მიგვაჩნია, რომ სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს მხოლოდ საბუთის სიყალბე სსსკ 137-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, აქტიურად უნდა ჩაერიოს ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232¹ (დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოადგენლობის გამო) ამოღებული უნდა იქნეს, რადგან ვერ უზრუნველყოფს იმ მიზნის განხორციელებას, რომელიც, ალბათ, თავის

დროზე აღნიშნული მუხლის დამატების საფუძველი გახდა, პირიქით, გასაჩივრების ცალკე ინსტიტუტის არსებობა, დიდ დროს აკარგინებს სასამართლოს (იხ.დანართი 1).

ვფიქრობთ, რომ არასწორია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის დანაწესი, სასამართლო შეტყობინების სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნება, რადგან ირღვევა მხარეების, უმეტეს შემთხვევაში, მოპასუხის უფლებები (იხ. დანართი 2).

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სარჩელი ამკარად უსაფუძვლოა. მოპასუხე, რომელსაც არანაირი უფლება არ დაურღვევია მოსარჩელისათვის, მოსარჩელის უკანონო მოქმედების მსხვერპლი ხდება. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილს, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლებს, უნდა დაემატოს ახალი პუნქტი: „სარჩელი ამკარად უსაფუძვლოა“ (იხ.დანართი 6).

სარჩელი და შესაგებელი, წარმოადგენენ მტკიცების საგნის ფორმირების მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლის საშუალებით ხორციელდება მტკიცებითი პროცესი. ამ პროცესის წარმართვა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე, უპირველესყოვლისა, გულისხმობს იმას, რომ სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალებების შინაარსისა და სახეების განსაზღვრა განპირობებულია სარჩელის ინსტიტუტით და მათ შორის არსებობს ლოგიკური და სისტემური კავშირი.

მოპასუხის შესაგებელი უნდა იყოს იმდენად კონკრეტული, რამდენადაც კონკრეტულია მოსარჩელის მოხსენება. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხემ თავისი შესაგებელი უნდა მოარგოს და შეუსაბამოს მოსარჩელის მოხსენების აბსტრაქციის ხარისხსა და დონეს.

სარჩელის უარყოფის გამო, ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს სარჩელს, იძენს სადავო ფაქტების თვისებას, რომლებსაც არ ცნობს მოპასუხე და ამიტომ ისინი შედიან მტკიცების საგანში და

მოსარჩელეს ევალუბა დაამტკიცოს მათი არსებობა, თუ არარსებობა.

პროცესუალური შესაგებელი არაა მიმართული სარჩელის წინააღმდეგ არსებითად. მოპასუხე პროცესუალურ შესაგებელს წარადგენს იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლის, რომ სარჩელის აღძვრის ან საქმის განხილვის დროს დარღვეულია პროცესუალური ნორმები.

მატერიალური შესაგებელი სარჩელის საფუძვლის წინააღმდეგაა მიმართული და სამოქალაქო სამართლის ნორმებს ეყრდნობა. მატერიალური შესაგებლით უარყოფილია, როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ასევე, სამართლებრივი დასაბუთებულობა. მატერიალური შესაგებლის დასაბუთება გამოიწვევს სარჩელზე უარის თქმას.

საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ შეგებებული სარჩელი მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით, ან სასამართლოს ინიციატივით საქმის განხილვის გადადება სხვა დროისათვის დაუშვებელია. აქ კანონი იმპერატიულად უნდა განსაზღვრავდეს საქმის გადადებას და არ უნდა იყოს საჭირო მხარის მოთხოვნა. ამავე მუხლის მეორე ნაწილი მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი, აკისრებს საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურებას, რაც მიგვაჩნია, ასევე, არასწორად, რადგან მოპასუხეს სასამართლომ თუ მისცა საშუალება წარადგინოს შეგებებული სარჩელი, მაშინ არ უნდა „დასაჯოს“ იგი. მიგვაჩნია, რომ 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ პუნქტი ამოღებულ უნდა იქნეს, რადგან ის არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შეგებებული სარჩელი (იხ.დანართი 7).

გზავნილის ჩაბარება სასამართლოს ვალდებულება უნდა იყოს და არა მოსარჩელის, ეს უნდა იყოს მხარეების უფლება და არა ვალდებულება. ე. წ. „დაკონვერტება“ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის დანაწესს, რომლის თანახმად, მოპასუხის წერილობითი შესაგებლის არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შედგენისათვის საჭირო

სათანადო ვადა უნდა განისაზღვროს განჩინებით თვით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ და არა - მოსამართლის თანაშემწის, ან კანცელარიის მუშაკის მიერ (იხ.დანართი 3).

მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შესაგებლის წარუდგენლობის გამო. 232¹ მუხლი ამოღებული უნდა იქნეს. არასაკატიო მიზეზით შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში, უნდა დაინიშნოს ჩვეულებრივ საქმის განხილვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მოპასუხეს არ ექნება უფლება წარადგინოს თავისი მოსაზრება სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებებზე და, სწორედ, ეს იქნება საფუძველი მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებისა, რაც გასაჩივრდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით და ამით თავიდან იქნება აცილებული შესაგებლის წარუდგენლობის გამო, გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის დაკარგული დრო (იხ.დანართი 1).

ამოღებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან“. ასევე, მეორე ნაწილში ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვები: „შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან“. ამოღებული უნდა იქნეს არა მარტო სასამართლოს დაფაზე პუბლიკაციის განთავსება, არამედ, უნდა დაკონკრეტდეს მხოლოდ ერთი გაზეთი, რომელიც იქნება სპეციალური, საჯარო ინფორმაციებისათვის, ყველას ეცოდინება, რომ შესაძლებელია მის წინააღმდეგ რაიმე ინფორმაცია იყოს განთავსებული, ამიტომ ყველა ეცდება კვირაში ერთხელ მაინც გადაამოწმოს აღნიშნული გაზეთი, რითაც თავიდან იქნება აცილებული ის სავალალო შედეგები, რასაც დღევანდელი კანონმდებლობა უწყობს ხელს. არის ქვეყნები, სადაც ასეთი პრაქტიკა არსებობს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილს, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველზე,

უნდა დაემატოს ახალი პუნქტი: „სარჩელი აშკარად უსაფუძვლოა“ (იხ. დანართი 6).

სსსკ 190-ე მუხლის პირველი ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, ამ საქმის განხილვა გადაიდება სხვა დროისათვის, ხოლო მეორე ნაწილი ამოღებული უნდა იქნეს (იხ. დანართი 8).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაგებლის შემდეგი სახეები:

ა. სარჩელის უარყოფა (არ ცნობა) სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ქართული მოდელით არ არის დიფერენცირებულად წარმოდგენილი შესაგებლის სახეები. ვფიქრობთ, რომ სამოქალაქო პროცესი უნდა მოიცავდეს ყველა სახის შესაგებლის რეგულაციას. უფრო ზუსტად, შესაგებლის ისეთი სახე როგორცაა სარჩელის უარყოფა, უნდა გამოვყოთ ცალკე ინსტიტუტად. მიგვაჩნია, რომ ამ სახის შესაგებელს უნდა უკავშირდებოდეს ისეთი სამართლებრივი შედეგები, რაც არ გააჩნიათ შესაგებლის სხვა სახეებს. კერძოდ, საკმაოდ მნიშვნელოვან და საკამათო ინსტიტუტს საპროცესო თეორიაში წარმოადგენს დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარმოდგენლობის გამო. მეტად პრობლემურია დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ისეთი ნაირსახეობა, რომელიც უკავშირდება შესაგებლის წარმოდგენლობას. მიგვაჩნია, რომ შესაგებლის სახეების დიფერენცირებული მიდგომების პროცესუალური ასახვა დაგვეხმარება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის ამ ურთულესი ნაირსახეობის გამოყენებაში. კერძოდ, სარჩელის და თანდართული მასალების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, მოპასუხეს უნდა ჰქონდეს უფლება წარმოადგინოს მხოლოდ სარჩელის უარყოფის (არ ცნობის) შესაგებელი და ამ სახის შესაგებლის არასაკატიო მიზეზით წარუდგენლობას უნდა მოჰყვებოდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა (თუმცა, საერთოდ, ჩვენი პოზიცია შესაგებლის წარმოდგენლობის გამო გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე, გამოხატული გვაქვს). სარჩელის უარყოფის (არ ცნობის) შესაგებლის წარმოდგენის შემდეგ, მოპასუხეს უნდა ჰქონდეს უფლება წარმოადგინოს პროცესუალური და

მატერიალური შესაგებელი, რომლის წარმოუდგენლობა არ უნდა იწვევდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას. მათი წარმოუდგენლობა გავლენას უნდა ახდენდეს შესაგებლის დასაბუთებულობაზე;

ბ. პროცესუალურ - სამართლებრივი შესაგებელი პროცესუალური შესაგებელი უნდა უკავშირდებოდეს პროცესუალურ-სამართლებრივ ფაქტებს, რომლებსაც მოჰყვება მოპასუხისათვის სასურველი პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები. მაგალითად, სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა, საქმის წარმოების შეწყვეტა, სარჩელის განუხილველად დატოვება, საქმის წარმოების დროებით შეჩერება. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე ინსტიტუტად უნდა გამოვყოთ პროცესუალური შესაგებელი, რომლითაც მოპასუხეს მიეცემა უფლება გამოიყენოს და მიაღწიოს ზემოთ მითითებულ პროცესუალურ შედეგებს.

გ. მატერიალურ - სამართლებრივი შესაგებელი ჩვენი მოსაზრებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით უნდა მოწესრიგდეს შესაგებლის მატერიალურ-სამართლებრივი სახე. ამ სახის შესაგებელი უნდა შეიცავდეს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის მითითებებს, რომლებიც გამორიცხავენ სარჩელის დაკმაყოფილებას. მიგვაჩნია, რომ ამ სახის შესაგებელს გააჩნია სარჩელის გამომრიცხავი ეტაპები.

დ. მოსარჩელის პასუხი შესაგებელზე საპროცესო კოდექსში ცალკე უნდა გამოვყოთ მოსარჩელის პასუხი მოპასუხის შედავე-ბაზე, რომელიც შეიძლება იქნას გათვალისწინებული, თუ მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შედავება ეფუძნება სარჩელში მითითებული გარემოებების გამომრიცხავ სამართლის ნორმაზე. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ შესაგებლის პასუხად უნდა მიუთითოს საპირისპირო ნორმასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაგებლის შემდეგი სახეები:

1. სარჩელის უარყოფა (არ ცნობა);
2. პროცესუალურ-სამართლებრივი შესაგებელი;
3. მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი;
4. მოსარჩელის პასუხი შესაგებებლზე.

Grigol Robakidze University

With the right of manuscript

Leila Arkhoshashvili

Procedural-Legal Means of Defence against a Claim

Specialty: Law

The dissertation is presented for obtaining PhD Degree in Law

Abstract

Tbilisi

2021

Grigol Robakidze University

Scientific supervisor:

Teimuraz Todria

Doctor of Law, Professor

The date of the defence of the dissertation will be published on the University Web-site: www.gruni.edu.ge

The defence of the dissertation will take place at the session of the Qualifying and Examination Board of the Law School of Grigol Robakidze University

It is possible to review the dissertation in the library of Grigol Robakidze University (Agmashenebeli Alley 13 km, Tbilisi, Georgia)

Contents

<u>Introduction</u>	35
<u>Research problems and urgency</u>	35
<u>The purpose of the study</u>	36
<u>The research objectives are</u>	36
<u>The hypothesis of the work</u>	37
<u>Scientific novelties of the work</u>	38
<u>Literature Review and practical context</u>	38
<u>Methodology and Research Description</u>	39
<u>The theoretical value of the work</u>	39
<u>The practical meaning of the work</u>	39
<u>Structure and general content</u>	40
<u>Conclusions and Recommendations</u>	47

Introduction

Research problems and urgency

